ახალი განათლება

2015 წელი, 7 - 13 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№17 (691) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჩვენ ვართ ერი, რომელსაც განათლების დიდი კულტურა და ისტორია აქვს

გვერდი 8

რუბრიკის სტუმარია
გიორგი ლომიძე
ექსეტერის უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი დიდ ბრიტანეთში

ინფორმაცია

საგრანტო დაფინანსების საძიებო სისტემა ProGeorgia შეიქმნა

გვერდი 5

პროფესიული განათლება

საზოგადოებრივი საბჭო კანონპროექტზე მუშაობის გაგრძელებას ითხოვს

გვერდი 6

კვლევა

ქართველი ახალგაზრდების რეალობა და საჭიროებები

გვერდი 7



4 მაისს, მსოფლიოში გულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომელსაც თბილისის კლასიკური გიმნაზიაც შეუერთდა და ანტიბულინგური კამპანია საზეიმოდ გახსნა. ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაესწრო და ანტიბულინგურ აქციაშიც ჩაერთო.

ძვირფასო მეგობრებო



თქვენ წინაშეა „საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ქრონიკების“ განახლებული ვერსია. იგი შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი საატესტატო და ეროვნული გამოცდების ისტორიის 2014-2015 წწ. პროგრამის მიხედვით.

შემდგენლები:
ლელა დათიაშვილი,
ელისო ელიზბარაშვილი

წიგნი წარმოადგენს ერთადერთ კონსპექტს, სადაც ისტორიის საგამოცდო პროგრამის მიხედვით ქრონოლოგიურადაა დალაგებული და სრულად არის წარმოდგენილი ყველა საგამოცდო საკითხი.

„საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ქრონიკები“ დაგეხმარებათ სწრაფად და ეფექტურად მოემზადოთ საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის ისტორიაში.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ
„ბიბლუსის“ მაღაზიებში და გამომცემლობა „უსტარში“
ტელეფონი: 296-40-81; 790 96-40-82.
წიგნის ფასი – 8 ლარი

სიახლე!

გამოვიდა ქართულ ლიტერატურაში საატესტატო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების მეოთხე ნაწილი XX საუკუნის მწერლობა



წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ინფორმაცია

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა საქმეებზე კომისიამ ანგარიში წარმოადგინა

საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ ორწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

კომისია 2012 წელს დაფუძნდა და მან ყველა ის ასეულობით უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანის განცხადება შეისწავლა, რომლებმაც სამინისტროს მომართეს. მოქალაქეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ სამსახურიდან პოლიტიკური შეხედულებების გამო გაათავისუფლეს და ამ დამოკიდებულებას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

სპეციალური კომისია დაკომპლექტებული იყო საქართველოს სახალხო დამცველისა და იმ 7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ განათლების სისტემასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით. კომისიის კომპეტენციაში შედიოდა 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე – 2012 წლის 14 დეკემბრამდე – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლა, შეფასება და, კომპეტენციის ფარგლებში, მინისტრისათვის რეკომენდაციების შემუშავება. კომისია ორი წლის განმავლობაში პერიოდულად აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციას გაწეული სამუშაოს შესახებ.

საქართველოს მასშტაბით შემოსული განცხადებების განხილვის, შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა განათლების სისტემაში არსებული სხვადასხვა სისტემური ხასიათის პრობლემა, კერძოდ:

– პოლიტიკური შეხედულებების გამო ცალკეული პირების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები;

– სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების მხრიდან საჯარო სკოლის დირექტორებზე ზეწოლა სამსახურის დატოვების მიზნით; საჯარო სკოლის დირექტორებზე ზეწოლა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ან/და პოლიტიკურად არასაიმედო პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლების მიზნით;

– სკოლების შემოწმების დროს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შერჩევითი მიდგომა, რომლის მიზანი იყო არასასურველი დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლება;

– მოქმედი კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაცია სამინისტროს მხრიდან არასასურველი კადრების გათავისუფლების მიზნით (საატესტატო გამოცდების შედეგების გათვალისწინება, საგაკვეთილო საათების განაწილება, არასერტიფიცირებული პედაგოგების გათავისუფლება და სხვ.);

– სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებში დასაქმებულთა მიერ პროფესიულ კავშირებში საკუთარი არჩევანისამებრ გაერთიანების უფლების შეზღუდვა;

– ცალკეული უწყებების მიერ სკოლის ავტონომიურობის პრინციპის დარღვევა.

შეიძლება ითქვას, რომ კომისიის საქმიანობის შედეგად გამოვლინდა როგორც პოლიტიკური შეხედულებების გამო ცალკეული პირების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები, ასევე სხვადასხვა სახის კანონდარღვევის შემთხვევები, რომლებიც დამკვიდრებული იყო სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში. აღნიშნულმა განაპირობა, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დარღვევა და, მეორე მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად განხორციელებაზე.

ორწლიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, პარლამენტარები, დიპლომატები, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

განათლების ხარისხის ISO სტანდარტებით სერტიფიცირება განიხილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (GIZ) დახმარებით, შესაძლებელია ახალი პროექტები ამოქმედდეს, რომელიც პროფესიული სასწავლებლების დახმარების მიზნით, ხარისხის მართვაში საერთაშორისო აისოს (ISO) სტანდარტებით სერტიფიცირებას ითვალისწინებს. ამ თემაზე გერმანულმა ორგანიზაციამ „CERTQUA“ პრეზენტაცია წარმოადგინა სახელწოდებით – „განათლების ხარისხის სერტიფიცირება ISO სტანდარტებით“.

შეხვედრის მიზანი იყო აისოს სტანდარტებით სერტიფიცირების შესაძლებლობის განხილვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

შეხვედრის ორგანიზატორ გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (GIZ) სამინისტრო წლებია წარმატებით თანამშრომლობს პროფესიული განათლების სტრატეგიის განვითარების პროცესში. ამ ეტაპზე თანამშრომლობა ხორციელდება პროფესიული სასწავლებლების ინსტიტუციური ხარისხის გაძლიერების კუთხით. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სტანდარტებისა და იმ გამოცდილებების დანერგვას საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინსტიტუციებში, რომელიც საერთაშორისო დონეზე არსებობს.

ISO 29990 (International Standardization Organization) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტია. ამ სერტიფიკატის ფლობა უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას საერთაშორისო ნორმებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე**, გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციისა (GIZ) და სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„განათლების სამინისტრო აგრძელებს თანამშრომლობას გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელიც სამინისტროს აქტიური პარტნიორია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში. ამ ეტაპზე თანამშრომლობა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საქმე ეხება პროფესიული სასწავლებლების ინსტიტუციურ გაძლიერებას და, შესაბამისად, მათი ინსტიტუციური ძლიერების ხარისხის უზრუნველყოფას. GIZ ჩვენ დაგვეხმარება ამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაში, საუბარი გვაქვს აისოს სტანდარტებზე, ასევე ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და ევროპულ ფონდთან თანამშრომლობაზე იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს ბაზარზე არსებული პროფესიული სასწავლებლები და სათანადო ხარისხის განათლება შევთავაზოთ მომხმარებლებს.“*

ანდრეას ორუ, გერმანიის ეკონომიკის და ბიზნესის ასოციაცია: *„მე წარმოვადგენ გერმანიის ეკონომიკისა და ბიზნესის ასოციაციების გაერთიანებას. ჩვენ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად, გვაქვს ერთობლივი პროექტები, რომლებიც გულისხმობს როგორც ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე პროცესზე დაკვირვებას და სერტიფიცირებას. ამ თვალსაზრისით, ISO-ს საერთაშორისო სტანდარტებით ვიხელმძღვანელებთ.“*

ქართულ ხელოვნებას, კერძოდ, კინემატოგრაფს, ახსოვს სახელები მრავალი მოღვაწისა, თუმცა მცირეა რიცხვი მათი, ვის გარეშეც ხელოვნების ამ დარგზე მსჯელობაც კი წარმოუდგენელია. რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის „მაგდანას ლურჯამ“ ბოლო მოუღო კინოსიყალბეს, კონიუნქტურას, მლიქვნელობას და ქართველი მაყურებელი ეროვნულ სამყაროს აზიარა, „ჯარისკაცის მამა“, „ჩვენი ეზო“, „ნერგები“, „მაია წყნეთელი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“ სრულიად სამართლიანად იქცა ქართული კინოს კლასიკის განუყრელ ნაწილად.

და მივადექით მთავარ სათქმელს, ბატონი რეზო ჩხეიძე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №23 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული გახლდათ. არ გვეგულება არც ერთი მასწავლებელი, არც ერთი კურსდამთავრებული და მოსწავლე, რომელთათვისაც საამაყო არ იყოს ეს ფაქტი. თავად შემოქმედი უდიდესი სიყვარულით იხსენებდა სკოლის კედლებში გატარებულ წლებს. ამ სიყვარულის გამოხატულებაა „ღიმილის ბიჭები“, რომლის დიდი ნაწილი სწორედ ჩვენი სკოლის შენობაშია გადაღებული.

ბატონი რეზო მუდამ გავშვური სიხალისით თანამშრომლობდა ღვიძლ 23-ესთან, რისი დასტურიცაა 2003 წელს, მაშინ მე-5 კლასის მოსწავლის, ნინო მარკოზაშვილის მიერ აღებული ინტერვიუ დიდ შემოქმედთან. სიმბოლურად მოგვეჩვენა ინტერვიუს სათაური: „ტელეფონით ჩაწერილი ინტერვიუ, ანუ შეწყვეტილი ზარი“.

შეწყდა სიცოცხლე სახელოვანი მამულიშვილისა. ჩვენ, დიდი შემოქმედის სულიერი მემკვიდრეები, ძედს ვიხრით მისი ღვაწლისა და ღირსეულად გავლილი ცხოვრების წინაშე.

ჩვენი სიყვარული ბატონი რეზოს პიროვნებისადმი არასდროს განელდება.

ტელეფონით ჩაწერილი ინტერვიუ, ანუ შეწყვეტილი ზარი



გაზეთის დაარსებიდან ვოცნებობდი ინტერვიუს აღებას ცნობილ კინორეჟისორ, რეზო ჩხეიძესგან. ეს სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა შევიტყვე, რომ ბატონი რეზო მოძრაობა „სულიერი და ზნეობრივი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. ხვალ დილით, ბატონი რეზო იერუსალიმში, წმინდა მიწაზე მიემგზავრება. ამიტომ, ჩვენი ინტერვიუ ტელეფონით შედგა. გული მწყდება, რომ მის გვერდით ყოფნის საშუალება არ მომეცა, თუმცა, იმედს ისევ ვიტოვებ.... ახლა კი, ისლა დამრჩენია, ბატონ რეზოს ბედნიერი მგზავრობა ვუსურვო.

– ბატონო რეზო, თქვენ ჩვენი საყვარელი 23-ე სკოლა დაამთავრეთ. გთხოვთ, აგვიხსნათ, რით იყო გამორჩეული ეს სკოლა თქვენი ბავშვობის პერიოდში?

– 23-ე სკოლა ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მე ვერ შევადარებ მას სხვა სკოლებს, რადგან ის ჩემთვის მშობლიური და საყვარელია. რით არის იგი სხვებისგან გამორჩეული, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან სხვა სკოლაში მე არ მისწავლია.

– გთხოვთ ჩამოთვალოთ სკოლის მეგობრები, რომლებიც შემდგომ ცნობილი პიროვნებები გახდნენ.

– მეგობრები უხვად მყავს. თითოეული მათგანი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, სანამ მათ ჩამოვთვლიდე, ერთ ამბავს მოგიყვებით: მე-7 ან მე-8 კლასში ვიქნებოდით, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. მძიმე დრო იყო, თუმცა, ძლიერი იყო ვაჟკაცობისა და პატრიოტიზმის გრძნობა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა, დაედგა სპექტაკლი „გიორგი სააკაძე“. მე მაშინ რეჟისორობაზე ვოცნებობდი და ძალიან მიხაროდა, რომ შესაძლებლობა მექნებოდა, ჩემი საყვარელი საქმის კეთებისა.

ჩვენს სკოლაში, ომის დროს, გახსნილი იყო სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც დაჭრილები მოჰყავდათ და მკურნალობა უტარდებოდათ. ჩვენ ნაკლებად გვეცალა სპექტაკლისათვის, თუმცა, სურვილი დიდი იყო. ორი წელი ვმუშაობდით ამ სპექტაკლზე.

როდესაც მე-10 კლასს ვამთავრებდით, გადავწყვიტეთ, გვეჩვენებინა ჩვენი სპექტაკლი. მაშინ ძალიან დაგვეხმარა „პლეხანოვის კლუბი“. შეგვირჩიეს კოსტიუმები. შედგა აფიშები, სადაც ეწერა „ხვალ, საღამოს 7 საათზე, 23-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასი წარმოგიდგენთ სპექტაკლის პრემიერას „გიორგი სააკაძე“.



მაგრამ მოხდა ისე, რომ სპექტაკლის მთავარი როლის გიორგი სააკაძის შემსრულებელს, ლევან ჩხიკვაძეს მოუვიდა სამხედრო გაწვევა, სადაც ეწერა, რომ იგი კომისარიატში უნდა გამოცხადებულიყო მეორე დილის 8 საათზე. მთელი კლასი დავღონდით. ნაწვალები სპექტაკლი გვივარდებოდა. გადავწყვიტეთ, მივსულიყავით სამხედრო კომისარიატში და კომისარისთვის ლევანის გაწვევის ერთი დღით გადავადება გვეთხოვა.

მივედით კომისარიატში. კომისარი საქმეში იყო ჩაფლული და რაღაც ფურცლებში იქექებოდა. მას ჩვენსკენ არც კი გამოუხედავს, ისე შეგვეკითხა, რა გნებავთო.

ლაპარაკი მე დავიწყე.

– ჩვენ ვდგამთ პიესას „გიორგი სააკაძე“.

– მერე? – ამოგვხედა გაოცებულმა კომისარმა – მერე, რომელია სააკაძე.

ჩვენ ლევანზე მივუთითეთ და ავუხსენით, რომ მას ჰქონდა სამხედრო მოწვევა და სპექტაკლი ჩაგვეშლებოდა, თუკი ერთი დღით არ გადაუწევდნენ გაწვევას. მიუხედავად საშინელი სიმკაცრისა, კომისარმა ჩვენი თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და ბრძანა, რომ ლევან ჩხიკვაძის სამხედრო გაწვევა ერთი დღით გადავადდებოდა. დანიშნულ დროს პრემიერა შედგა. მქუხარე ტაშიც დავიმსახურეთ. ახლა მეცინება, რომ მაგონდება. რა სასაცილონი ვიქნებოდით პატარა გოგო-ბიჭები შაჰ-აბასისა და სხვათა კოსტიუმებში.

მეორე დღეს ლევანი ჯარში წაიყვანეს. მას შემდეგ აღარაფერი ვიცოდით მის შესახებ. გვიან გავიგეთ, ტანკისტი ყოფილა. 1943 წელს კურსკის ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. მის ტანკს გერმანელების ყუმბარა მოხვედრია და დაღუპულა. ასე დავკარგეთ პირველი მეგობარი, ამხანაგი და შესანიშნავი მოწაფე, ღიმილის ბიჭი ლევან ჩხიკვაძე.

ჩემს დროს ბევრი სხვა, დღეისთვის უკვე გამოჩენილი ადამიანი სწავლობდა. ესენი იყვნენ ძმები, მწერალი არჩილ და მულტიპლიკატორი კარლო სულაკაურები, ექიმები: ლევან გოგოლიშვილი და ოთარ ჩახუნაშვილი. მათემატიკოსი ანატოლი ნადარეიშვილი. მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ფაქტია, რომ მათ აღზრდაში დიდი როლი მიუძღოდა ჩვენს სათაყვანებელ სკოლას.

– ბატონო რეზო, თქვენ მრავალი ფილმის რეჟისორი ბრძანდებით. ერთ-ერთი მაგთანია „ჩვენი ეზო“. მასში თქვენი ბავშვობა ხომ არ არის ასახული?

– უეჭველად ასეა. როცა ამ ფილმზე ვმუშაობდი, ძალიან ახალგაზრდა, 26-28 წლის თუ ვიქნებოდი. ეს იყო ჩემი ეზო, ჩემი ცხოვრება და ჩემი ავტობიოგრაფია.

ტუ... ტუ... ტუ... მოგეხსენებათ ჩვენი ტელეფონების ამბავი. შეწყდა ზარი და ვერაფრით ვეღარ დავუკავშირდი... სათქმელი კი ბევრი მქონდა ამ ბუმბერაზ, საყვარელ და სათაყვანებელ კაცთან – რეზო ბაბუასთან.

ნინო მარკოზაშვილი
V კლასი
18 მაისი, 2003 წელი

პედაგოგთა დასახმარებლად

რუსული ენა

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

Продолжение

Урок№4

Число	
Предмет	Русский язык
Учитель	Ростиашвили-Циклаури Меги Робинзоновна
Тема урока	Рассказ И.С. Тургенева «Нищий».
Количество учеников	16
Класс/уровень	XI(ს-V)
Цель урока	• Выработать у учащихся навык использования необходимых стратегий чтения для понимания содержания текста. • Выработать навык излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Связь со Стандартом	**უცხ.ს.V.6. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მოთხრობის/ ნოველის წაკითხვა და გაგება.** **უცხ.ს.V.8. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში.** **უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).*** **უცხ.ს.V.15. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა მისთვის ნაცნობ თემებზე, საკითხებზე.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).***
Задачи урока	• Выработать у учащихся навык определения и группировки различных фраз и слов по данной теме. • Выработать у учащихся навык выделять основную информацию из текста. • Выработать у учащихся навык вероятностного прогнозирования. • Выработать у учащихся навык нахождения сходств и различий в тексте. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в устной форме. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в письменной форме.
Результаты урока	• Учащиеся могут использовать необходимые стратегии чтения для понимания содержания текста. • Учащиеся могут излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме

Описание активностей/ последовательность урока

I. Организационный момент.

II. Основная часть урока.

1) Ученики смотрят видеосюжет «О нуждающихся в помощи людях».(3 мин.)

• Как вы считаете, насколько важно общаться со сверстниками?

Обсуждение. (3 мин.)

2) Класс делится на группы. Каждый ученик получает задания. Ученики выполняют лексические упражнения индивидуально. Обсуждают в группе.Читают ответы. (3 мин.)

1.Соедините слова (синонимы / антонимы). Впишите ответы в таблицу.

1. нищий	А) уродливо
2. остановил	Б) бедный
3. безобразно	В) пробормотал
4. не взыщи	Г) милостыня
5. потерянный	Д) не обижайся
6. крепко	Е) задержал
7. прошамкал	Ж) оставленный
8. похолодевшие	З) сильно
9. подаяние	И) замёрзшие
10. существо	К) создание

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
Б	Е	А	Д	Ж	З	В	И	Г	К

2.Соедините фразы. Впишите ответы в таблицу. (3 мин.)

1. проходил по улице	А) синие от холода губы
2. дряхлый старик	Б) старая, порванная одежда из грубой ткани
3. воспаленные глаза	В) загрязнённые раны
4. посинелые губы	Г) искать в карманах
5. шершавые лохмотья	Д) рука слабо дрожала
6. нечистые раны	Е) шёл по улице
7. шарить в карманах	Ж) внимательно на меня посмотрел
8. рука слабо колыхалась и вздрагивала.	З) покрасневшие глаза
9. уставил на меня свои глаза	И) очень старый человек
10. и на том спасибо	К) и за это спасибо

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
Е	И	З	А	Б	В	Г	Д	Ж	К

3. Ученики читают текст и выполняют задание 3. (13 мин.)

Нищий

Я проходил по улице… меня остановил нищий, дряхлый старик.

Воспаленные, слезливые глаза, посинелые губы, шершавые лохмотья, нечистые раны… О, как безобразно обглодала бедность это несчастное существо!

Он протягивал мне красную, опухшую, грязную руку. Он стонал, он мычал о помощи. Я стал шарить у себя во всех карманах… Ни кошелька, ни часов, ни даже платка… Я ничего не взял с собою. А нищий ждал… и протянутая его рука слабо колыхалась и вздрагивала.

Потерянный, смущенный, я крепко пожал эту грязную, трепетную руку…

– Не взыщи, брат; нет у меня ничего, брат.

Нищий уставил на меня свои воспаленные глаза; его синие губы усмехнулись – и он в свою очередь стиснул мои похолодевшие пальцы.

– Что же, брат, – прошамкал он, – и на том спасибо. Это тоже подаяние, брат.

Я понял, что и я получил подаяние от моего брата.

(по И.С.Тургеневу)

Февраль, 1878 г.

4.Подберите соответствующие словосочетания и предложения

1. Внешний вид старика	А) Воспаленные, слезливые глаза, посинелые губы;
2. Лицо	Б) Нищий, дряхлый старик; шершавые лохмотья, нечистые раны;
3. Рука	В) Он протягивал мне красную, опухшую, грязную
4. Поведение нищего	Г) Я стал шарить у себя во всех карманах… Ни кошелька, ни часов, ни даже платка… Я ничего не взял с собою. Потерянный, смущенный, я крепко пожал эту грязную, трепетную руку.
5. Действие прохожего	Д) Он стонал, он мычал о помощи.
6. Реплика прохожего	Е) – Что же, брат, – прошамкал он, – и на том спасибо. Это тоже подаяние, брат.
7. Поведение нищего после реплики	Ж) Я понял, что и я получил подаяние от моего брата.
8. Реплика нищего	З) – Не взыщи, брат; нет у меня ничего, брат.
9. Что понял прохожий?	И) Нищий уставил на меня свои воспаленные глаза; его синие губы усмехнулись – и он в свою очередь стиснул мои похолодевшие пальцы.

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9
Б	А	В	Д	Г	З	И	Е	Ж

5.Ответьте на вопросы по тексту.

Вопросы	Выберите правильный вариант
Кого встретил прохожий?	**а) нищего, дряхлого старика;** б) знакомого нищего, дряхлого старика; в) старого человека.
О чём просил старик прохожего?	а) Старик просил прохожего забрать его с собой; б) Старик просил прохожего пожать ему руку; **в) Старик стонал, он мычал о помощи.**
Как поступил прохожий?	**а) Прохожий стал шарить у себя во всех карманах, но ничего не нашёл;** б) Прохожий стал шарить у себя во всех карманах и нашёл пустой кошелёк; в) Прохожий стал шарить у себя во всех карманах и нашёл часы и платок.
Как поступил нищий?	**а) поблагодарил прохожего;** б) обиделся на прохожего; в) пошёл за прохожим.
Кто получил подаяние?	а) нищий; **б) нищий и прохожий;** в) прохожий.

6. Составьте небольшой диалог в парах. Спросите своего напарника: «Как я помог ближнему, человеку, нуждающемуся в помощи». Разыграйте диалоги. (10 мин.)

III. Заключительная часть урока.

7. Выполните следующие задания.

Аргумент	Факты (Восстановите последовательность)	Ответы N	Комментарий (Как вы понимаете это высказываие?)
Я понял, что и я получил подаяние от моего брата.	Я стал шарить у себя во всех карманах… Ни кошелька, ни часов, ни даже платка… Я ничего не взял с собою. А нищий ждал… и протянутая его рука слабо колыхалась и вздрагивала.		
	– Не взыщи, брат; нет у меня ничего, брат.		
	Я проходил по улице… меня остановил нищий, дряхлый старик.		
	Потерянный, смущенный, я крепко пожал эту грязную, трепетную руку…		
	Он протягивал мне красную, опухшую, грязную руку. Он стонал, он мычал о помощи.		
	– Что же, брат, – прошамкал он, – и на том спасибо. Это тоже подаяние, брат.		
	Нищий уставил на меня свои воспаленные глаза; его синие губы усмехнулись – и он в свою очередь стиснул мои похолодевшие пальцы.		

Оценивание учащихся	Индивидуальные схемы оценки. Оценка учителем групповой работы учащихся. Определяющая индивидуальная оценка каждого ученика по схемам после проверки работ учащихся
Ресурсы	Видеосюжет, текст, задания, схемы, оценочные схемы, маркеры и листы формата А4

პედაგოგთა დასახმარებლად

მაკა ნადარეიშვილი

ფრანგული ენა

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

დღევანდელ სტატიაში ვაგრძელებთ წინა თემას, რომელიც შეეხებოდა ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.

წინა ნომერში ჩვენ განვიხილეთ საინტერესო სასწავლო ვებგვერდი, უფრო სწორად ვებ-პორტალი, რომელიც დატვირთულია მრავალი სასწავლო და შემეცნებით გასართობი სავარჯიშოებით. შევეხეთ ზოგადად ერთ-ერთი, ნებისმიერი, სავარჯიშოს განხილვას და ვნახეთ, თუ როგორ ფუნქციონირებს გვერდი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

დღეს მინდა შემოგთავაზოთ, ამ გვერდზე არსებული, ჩემ მიერ შექმნილი სავარჯიშო.

სავარჯიშოს მიზანი: ლინგვისტური ერთეულების დასწავლა-გამოყენება (ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხი).

თემის აქტუალობა: გარდა იმისა, რომ მოსწავლეები დაისწავლიან კონკრეტულ ლინგვისტურ ერთეულს და შეძლებენ მათ გამოყენებას სავარჯიშოში, მათ სავარჯიშოში შეხვდებათ ქართული რეალიები, რაც, ვფიქრობ, უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

მიმდინარეობა:

ატივობა 1

მიზანი: **ახალი მასალის მიწოდება** (ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხი)

I ნაბიჯი:

მიზანი: ძველი ცოდნის გახსენება – მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ ზედსართავი სახელები (ჩამონერს დაფაზე)

II ნაბიჯი:

მიზანი: ძველი ცოდნის გახსენება და ნაბიჯი ახალი მასალისკენ – შემდეგ სთხოვს, დააჯგუფონ ეს ზედსართავი სახელები შემდეგი ცხრილის მიხედვით:

თვისებითი – qualificatif	სადაურობის – nationalité	პროფესიის – profession	კუთვნილებითი – possessif	ჩვენებითი – démonstratif

III ნაბიჯი:

მიზანი: ძველი ცოდნის ახალთან დაკავშირება – მასწავლებელი ყურადღებას შეაჩერებს თვისებით ზედსართავ სახელზე და ახსნის ზედსართავი სახელების შედარებითსა და აღმატებით ხარისხს. ახსნისას მას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი მასალა და გამოცდილება, თუმცა ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ პატარა თეორიული ნაწილი, რის მიხედვითაც შესაძლებელია ამ კატეგორიების ახსნა:

Le degré de comparaison

Le comparatif

On peut comparer des choses ou des personnes entre elles ou bien comparer une même personne ou une même objet dans de différents lieux.

Marion est **plus** sérieuse **que** Laure.

Le temps est **plus** froid à Lille **qu'**à Marseille.

La comparaison peut marquer: la supériorité **plus** + adjectif + **que**
L'infériorité **moins** + adjectif + **que**
L'égalité **aussi** + adjectif + **que**

Attention! Aux comparatifs irréguliers

Bon → **meilleur:** le chocolat suisse est **meilleur que** le chocolat allemand

Mauvais → **pire:** Tes résultats sont **pires que** ceux de Léo

Petit (mais seulement dans son sens abstrait) → **moindre:** Jeanne est plus **petite que** Cloé/ A **la moindre** sottise vous serez exclu du lycée.

Le superlatif

On établit la comparaison par rapport à l'ensemble.

C'est **le plus beau** garçon du monde.

C'est l'élève **le plus intelligent** de la classe.

ატივობა 2

მიზანი: მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

ამის შემდეგ მას შეუძლია გადავიდეს სავარჯიშოზე, რომელიც მოცემულია ინტერნეტ-გვერდზე და შესთავაზოს მოსწავლეებს ინდივიდუალურად მათი შესრულება:

სავარჯიშო 1: **Complétez les phrases avec les adjectives et le degré de comparaison indiqué:**

Faites attention aux genres des adjectifs et à l'élision si c'est nécessaire.

1. Mtkvari est (+ long) rivière Alazani.
2. Tbilissi est (+ grand) Roustavie.
3. Abacha est (- grand) Samtredia.
4. Chkhara est le sommet (+ haut) de la Géorgie.
5. En hiver il fait (= froid) à l'est à l'ouest.
6. Les gens de l'ouest son (= chaleureux) les gens de l'est.
7. La partie de l'ouest de la Géorgie est (+ humide) la partie de l'est.
8. Le bord de la mer est (- visité) en hiver en été.
9. Les montagnes géorgiennes sont (= joli) la mer.
10. Les voyages en hiver sont (- agréable) en été.

მე გთავაზობთ ამ სავარჯიშოს დასაბეჭდ ვერსიას, თუმცა, მითითებულ ბმულზე გადასვლის შემთხვევაში, მოსწავლეები შეძლებენ სავარჯიშოს შესრულებას ინტერნეტში და დასრულებისთანავე მის შესწორებას. ვფიქრობ, ეს უფრო მოტივირებულს გახდის სასწავლო პროცესს, ვიდრე ფურცელზე შესრულებული დავალება (ბმულს მოგაწვდით შემდეგ ნომერში, როგორც კი მოხდება სავარჯიშოს გააქტიურება ინტერნეტსივრცეში, რადგან ახლა მას მხოლოდ სამუშაო ვერსია აქვს).

მომავალ ნომერში კვლავ გავაგრძელებთ ინტერნეტის გამოყენების თემას. ამ შემთხვევაში, შემოგთავაზებთ იმავე ვებგვერდზე არსებულ სავარჯიშოს, რომელსაც „კარაოკე" ჰქვია და ძალიან საინტერესოა მისი საგაკვეთილო პროცესში გამოყენება. ის ავითარებს სხვადასხვა უნარებს, მათ შორის – მოსმენისა და რეპროდუქციის უნარს.

ინფორმაცია

საგრანტო დაფინანსების საძიებო სისტემა ProGeorgia შეიქმნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საგრანტო დაფინანსების საძიებო სისტემა ProGeorgia შეიქმნა. პროექტის ავტორია განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია UNI.GE.

ProGeorgia (www.progeorgia.ge) *არის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში სტრუქტურირებული საძიებო სისტემის შექმნის პირველი მცდელობა. საძიებო სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვისაც დაფინანსების მოძიება სურს: საზღვარგარეთ სწავლისათვის; საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ორგანიზაციული განვითარებისათვის და ა.შ.*

პროგრამის პრეზენტაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ***გიორგი შარვაშიძე****, ილიაუნის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ.*

გიორგი შარვაშიძე*, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „საინტერესო პროექტია, პირველად საქართველოში გაკეთდა საძიებო სისტემა, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს, სტუდენტებს, მეცნიერებს, უნივერსიტეტებს, თანამშრომლობით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოიძიონ დონორები, შესაბამისად დაფინანსების ის წყაროები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ასევე მიიღონ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე. ProGeorgia ძალიან მაღალხარისხიანი პროდუქტია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო UNI.GE-ს, ორგანიზაციას, ვინც ეს სამუშაო შეასრულა, „ერაზმუს+"-ის დაკვეთით და ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს" მხარდაჭერით. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თავის საიტზე უმასპინძლებს ამ საძიებო პროგრამას და ყველა ახალგაზრდისთვის, ყველა პროფესორ-მასწავლებლისთვის გახდება ხელმისაწვდომი."*

ლიკა ღლონტი*, „ერაზმუს+"-ის ეროვნული ოფისის კოორდინატორი: „დღეს ჩვენ ძალიან საინტერესო პროექტის ProGeorgia პრეზენტაცია გვაქვს. მისი მთავარი ამოცანაა, შექმნას იმ დონორი ორგანიზაციებისა და პროგრამების მონაცემთა ბაზა და საძიებო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს მოქალაქეებს – როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორებს – თავიანთი სწავლისთვის და კვლევისთვის იპოვონ დაფინანსება. როგორც მოგეხსენებათ, ძალიან მაღალია იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვისაც უნდა საზღვარგარეთ სწავლა და აქვს ფინანსური პრობლემა, იმავდროულად, არსებობს უამრავი პროგრამა, რომელმაც შეიძლება ქართველ სტუდენტებს დაუფინანსოს სწავლის გაგრძელება როგორც გაცვლით, ასევე სრული პროგრამის ფორმატში და, შესაბამისად, ხელმისაწვდომობა ამ ინფორმაციის დაბალია. ჩვენი ამოცანა იყო, შეგვექმნა იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ განაცხადის შეტანა დაფინანსებაზე. ამ ეტაპზე, გვაქვს 45 ქვეყნის 210 ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა. პროექტი ჯერ არ დასრულებულა, მხოლოდ პირველი ნაწილის პრეზენტაცია მოხდა. მონაცემთა ბაზა განთავსებულია სპეციალურ ვებგვერდზე, რომელსაც აქვს თავისი სტრუქტურირებული საძიები სისტემა.*

პროექტის მეორე ეტაპზე განხორციელდება ტრენინგები მათთვის, ვისაც ამ სისტემის გამოყენება სურს. აქვე გვაქვს ინფორმაცია არა მარტო სწავლის, არამედ კვლევის დაფინანსების მსურველთათვის. თუ თქვენ ხართ მოქმედი მეცნიერი საქართველოში, შეგიძლიათ, დამატებითი დაფინანსების მოპოვების მიზნით, მოიძიოთ დონორი ორგანიზაცია, გააკეთოთ განაცხადი და მიიღოთ დაფინანსება."

ქეთი ხუციშვილი, *ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს" დირექტორი: „პროექტი ProGeorgia, რომელსაც დღეს წარვადგენთ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან, ფაქტობრივად, პირველი მცდელობაა საქართველოში, შეიქმნას სტრუქტურირებული საძიებო სისტემა სწავლისა და კვლევის დაფინანსების მაძიებელთათვის. ის საშუალებას მისცემს სტუდენტებს, აგრეთვე მეცნიერებს, მოიძიონ დამატებითი რესურსები, დამატებითი ფინანსები სწავლის გასაგრძელებლად ან კვლევის გასაუმჯობესებისთვის.*

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო" გამოეხმაურა ამ პროექტს, რომელიც მართლაც საინტერესოდ მიგვაჩნდა და დავაფინანსეთ 2014 წლის დასასრულს. იმედი გვაქვს, შემდგომში პროექტი მნიშვნელოვნად განვითარდება."

პროფესიული განათლება

საზოგადოებრივი საბჭო კანონპროექტზე მუშაობის გაგრძელებას ითხოვს

დანიელ დავითაშვილი
საქართველოს პროფესიული განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე

24 აპრილს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში არსებული პრობლემების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი საბჭოს პროფესიული განათლების კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარის მსოადგილე **დანიელ დავითაშვილი**. ესწრებოდნენ: კომისიის წევრები, მათ შორის საჯარო და კერძო კოლეჯების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, ექსპერტები, სამართალმცოდნეები, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

განხილულ იქნა პროფესიული განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები, კერძოდ, პროფესიულ განათლებაში ხარისხის გაუმჯობესებისა და საკადრო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებული ყურაღდება გამახვილდა საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. კომისიის წევრებმა შეიმუშავეს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესულ კანონპროექტში, „პროფესიული განათლების შესახებ“, შესატანი ცვლილებები, შემუშავდა ექსპერტთა დასკვნა, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და პარლამენტის ბიუროს, აგრეთვე სისტემაში ჩასატარებელი აუცილებელი რეფორმების განხორციელებისათვის რეკომენდაციები, რომელიც, საზოგადოებრივი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განხილვის შემდეგ, წარედგინება საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2014 წლის 31 მარტს გამოსცა №789 ბრძანება, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში „ცვლილებების პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. აღნიშნულმა ჯგუფმა შესატან ცვლილებებზე იმუშავა 2014 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით. შედგა 18 მუშა შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილებოდა კანონში შესატანი ცვლილებები თემატიკის მიხედვით. მათ შორის 2014 წლის 22 ივლისს განხილულ იქნა თემა „პროფესიული სტანდარტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“. განხილვა შემოიფარგლა ზოგადი საუბრებით, პოზიციების გამოხატვით და არც ერთ საკითხთან მიმართებაში (სტანდარტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდული ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) ჯგუფს გადაწყვეტილება არ მიუღია, არც კანონპროექტის მთლიანი პაკეტი განუხილავს და არც პარლამენტში შემოტანილი მისი უმნიშვნელო ნაწილი. ცვლილებებს დღემდე არ გასცნობიან პროფესიული კოლეჯები და საზოგადოება.

კანონპროექტთან მიმართებით, საზოგადოებრივი საბჭოს (თავმჯდომარე – **რამაზ ხუროძე**) მიერ არაერთი შენიშვნა გამოითქვა. მათ შორის: კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №300 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) სამოქმედო გეგმა“, რომლის მიხედვითაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა 2014-2016 წლებში, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო დამატება – ტერმინთა განმარტება „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“ და შესაბამისი ცნება – „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი“.

გასაკვირია, რომ, ამავე დროს, განმარტებით ბარათში მითითებულია №300 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიით და მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის და დანერგვის აუცილებლობა;

დღეისათვის მოქმედი „პროფესიული სტანდარტის“ განმარტება უსაფუძვლოდაა დაყოფილი ორ ნაწილად – „პროფესიული სტანდარტი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი“. მათში გადანაწილებულია დღეისათვის მოქმედი ნორმის განმარტებები. ჩვენი აზრით ეს აბსურდულია და ქმნის დამატებითი დოკუმენტების შემუშავების აუცილებლობას, რაც მოითხოვს უამრავ დროს, ადამიანური რესურსების მობილიზებას და დამატებით საბიუჯეტო სახსრებს, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს;

საჭირო იქნება დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები „მოდულის“ შემოღების შემთხვევაშიც, რაც კანონპროექტის ავტორებს არა აქვთ გათვლილი და აღიარებული; დუბლირებულია ტერმინების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი“, „მოდულის“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის“ განმარტებებში ძირითადი ჩანაწერები (კრედიტები, კურსები/მოდულები, სწავლების შედეგები და მეთოდები). მათ ნაცვლად შემოღებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ ტერმინი „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც მოწონებული პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავდება დარგობრივი საბჭოების მიერ და რომელიც უნდა დამტკიცდეს სსიპ ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით;

მიუღებლად მიგვაჩნია კანონპროექტში „პროფესიული სტანდარტის'' ტერმინის ამდაგვარი რედაქციის არსებობა. გარდა ამისა, კანონმა უნდა განმარტოს, თუ ვინ შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროფესიულ სტანდარტს, რაც წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ასახული;

მიუღებელია კანონპროექტის 20^2 მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რადგან დღეს მოქმედი კანონმდებლობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია პროფესიული სტანდარტი. როგორ შეიძლება, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი“ ამავე დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველი იყოს. ეს აბსურდულია და გაუგებარი; გაუგებარია, აგრეთვე, კანონპროექტის მე-3 პუნქტის ის ჩანაწერი, რომელიც უფლებას ანიჭებს წინათ დამტკიცებულ სტანდარტებს, 2019 წლის 1 იანვრამდე ითაოს ის ფუნქციები, რომლებიც ახალშექმნილ პროფესიულ სტანდარტებში ჯერჯერობით უცნობია, ან როგორ იქნება ეს შეჯერებული დღეს მოქმედი კანონის ყველა დანარჩენ თავებთან, მუხლებთან და პუნქტებთან.

2015 წლის 14 აპრილს №141/04 წერილით მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზემოთ ხსენებული კანონპროექტის ავკარგიანობის შესახებ, წარვადგინეთ შენიშვნები.

ნათქვამიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართელოს პარლამენტში განსახილველი კანონპროექტი ვერ პასუხობს პროფესიული განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებს; არ არის განხილული და შეჯერებული სამინისტროში შექმნილ სპეციალურ ჯგუფთან, ტექნიკურად და სამართლებრივად გაუმართავია, არა აქვს დართული პროფესიონალ ექსპერტთა დასკვნები; კანონპროექტის მომზადებაში არც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიუღიათ მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის სურვილი ჰქონდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების პროფკავშირი და მისი ექსპერტები 2014 წლის 31 მარტიდან ჩართულები ვართ კანონპროექტზე მომუშავე ჯუფის შემადგენლობაში. სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამუშაო ჯგუფის გვერდის ავლით წარადგინა კანონპროექტი, რომელიც უნდა დაუბრუნდეს საქართველოს მთავრობას და სამინისტროში არსებული სამუშაო ჯგუფის ჩართულობის, მისი რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, კანონის სრული პაკეტი წარედგინოს მთავრობას და პარლამენტს.

ინფორმაცია

სოკარის სტიპენდიანტები

უკვე მეორე სასწავლო წელია, კომპანია „სოკარ ჯორჯია“ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს, ყოველთვიურად, 300 ლარის ოდენობით სტიპენდიას უხდის. პროექტი 2013 წლის ოქტომბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის გაფორმებული ოთხწლიანი მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. სოკარის სტიპენდიანტების შერჩევა კომპანიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული სპეციალობებიდან ხდება, როგორიცაა: არქიტექტურა, მშენებლობა, გეოლოგია, ეკოლოგია, ფინანსები, ეკონომიკა, ფიზიკა, ქიმია, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ინფორმატიკა, მარკეტინგი, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი მაღალი აკადემიური მოსწრებაა.

მიმდინარე სასწავლო წელს, 7 სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლიდან, 30 სტუდენტი დაფინანსდა. ისინი, გასაუბრების შედეგად, „სოკარ ჯორჯიასა“ და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ 208 სტუდენტიდან შეარჩია.

მიმდინარე სასწავლო წელს წარმატებული სტუდენტების დასაფინანსებლად სოკარ-ჯორჯიამ 90 000 ლარი გამოყო.

ირაკლი ზუბიტაშვილი, „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ კორპორაციული ბიზნეს-კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: *„ყველასათვის ცნობილია, რომ სოკარი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიაა. „სოკარ ჯორჯია“ საქართველოში საქმიანობს და მაქსიმალურად ცდილობს, იყოს სარგებლობის მომტანი საქართველოს მოქალაქეებისათვის ყველა იმ სფეროში, რაც მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისათვის. სოკარის პრეზიდენტმა* ***როვგან აბდულაევმა*** *მიზანშეწონილად მიიჩნია, გაფორმებულიყო მემორანდუმი და დაწყებულიყო თანამშრომლობა საქართველოს განათლების სამინისტროსა და სოკარს შორის.*

მემორანდუმი 2013 წლის 9 ოქტომბერს გაფორმდა საქართველოს განათლების მინისტრსა და როვგან აბდულაევს, როგორც სოკარის პრეზიდენტს შორის. ამ მემორანდუმის ფარგლებში, სოკარი 30 წარჩინებულ სტუდენტს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან (აქ არ არის კონკრეტული შერჩევითობა, ნებისმიერი უნივერსიტეტიდან შეიძლება იყოს სტუდენტი), ვისაც მაღალი აკადემიური მოსწრება ექნება, გადაუხდის სტიპენდიას 300 ლარის ოდენობით თვეში. მემორანდუმი გაფორმებულია 4 წლის ვადით, თუმცა დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ვადის ამოწურვის შემდეგაც ეს ურთიერთნაყოფიერი საქმიანობა აუცილებლად გაგრძელდება.“

ნუგზარ ჩიტაია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი: *„მსგავსი თანამშრომლობა კერძო სექტორსა და სტუდენტებს შორის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, გარკვეულწილად, მომავალი დასაქმების გარანტიასაც მოიცავს – სტუდენტებისთვის თავიდანვე ნათელი ხდება მათ წინაშე არსებული მოთხოვნები და თვითონ ფირმებიც ხედავენ, რა შესაძლებლობები აქვს ამა თუ იმ კონკრეტულ სტუდენტს და რამდენად ხელსაყრელია მათთვის მისი დასაქმება.*

ამ მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად საინტერესოა სოკარის გამოცდილება – უკვე ორი წელია, აფინანსებენ სტუდენტებს სტიპენდიით. რამდენიმე სტუდენტს, რომლებიც პირველ წელს უკვე იყვნენ სტიპენდიანტები და ხელმეორედ ჰქონდათ შემოტანილი განაცხადი, შესთავაზეს სამუშაო. მათ სათანადო დეპარტამენტში გაიარეს გასაუბრება და რამდენიმემ სამსახურის შეთავაზებაც მიიღო.

მართლაც მნიშვნელოვანი წამოწყებაა. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის იმ ქველმოქმედებისათვის, რასაც „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ იჩენს ქართველი სტუდენტების მიმართ, მათი წარმატებული სწავლის წასახალისებლად.“

მიხეილ კელენჯერიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სპეციალობა – საინჟინრო ფიზიკა: *„ზოგადად ვიცოდი, რომ სოკარი ჩაბმული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებაში. მოხარული ვარ, რომ ერთ-ერთი მონაწილე ვარ ამ კონკრეტული პროექტისა – შეარჩიეს სტუდენტები (ერთ-ერთი მათგანი ვიყავი მეც), რომელთაც დაგვინიშნეს სტიპენდია, 300 ლარის ოდენობით. გასაუბრების დროს ძირითად ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონეს. თანხის გამოყენებას ვაპირებ საგანმანათლებლო კუთხით, კერძოდ, მინდა შევისწავლო დამატებითი უცხო ენები და ჩემთვის საინტერესო დამატებითი ინფორმაცია შევიძინო.“*

ია ოდიშარია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სპეციალობა – არქიტექტურა: *„სტუდენტებისათვის ეს დიდი მოტივაციაა, რომ მეტი იმუშაონ საკუთარ თავზე, ისწავლონ უკეთ, რადგან იციან, რომ შრომა დაუფასდებათ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოკარს და განათლების სამინისტროს ასეთი კარგი პროექტისათვის, სტუდენტებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას რომ აძლევენ.*

კვლევა

ქართველი ახალგაზრდების რეალობა და საჭიროებები

„ახალგაზრდებს საქართველოში მწირი ცოდნა აქვთ თავიანთი უფლებების შესახებ და ნაკლებად აქტიურები არიან.“ – აღნიშნულია „ახალგაზრდების ეროვნულ კვლევაში“, რომელიც ჩაატარა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატმა) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან, გაეროს ბავშვთა ფონდთან (იუნისეფთან) და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) მჭიდრო თანამშრომლობით.

„ქცევა, რომელიც სათავეს იღებს მოზარდობის პერიოდში, კრიტიკულ გავლენას ახდენს ახალგაზრდის ცხოვრების ფორმირებაზე და ზოგადად, საზოგადოების მომავალზე, – აღნიშნავს **საშა გრაუმანი**, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, – *მიუხედავად პოზიტიური მოვლენებისა, მოზარდები და ახალგაზრდები რეალური გამოწვევების წინაშე დგანან. ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ტოვებს ფორმალური განათლების სისტემას, ვერ შოულობს სამუშაოს სწორედ მაშინ, როდესაც მას ყველაზე მეტად სჭირდება თავს გრძნობდეს დაფასებულად, რეალიზებულად და დამოუკიდებლად. მთავრობა აღიარებს ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების მიერ საკუთარი პოტენციალის უკეთ გამოყენების აუცილებლობას, ახალგაზრდების მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათთან უწყვეტი დიალოგის მნიშვნელობას. იუნისეფი მზადაა, აღნიშნულ პროცესს კონსულტაციითა და გამოცდილების გაზიარებით დაეხმაროს “.*

კვლევის მიზანი – საქართველოში ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიცირება და ცოდნასა და მტკიცებულებებზე დამყარებული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება. წარმოდგენილი კვლევა რაოდენობრივია და მოიცავს 2500 შინამეურნეობას საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა. თითოეულ შინამეურნეობაში გამოკითხული იყო 15-29 წლის ერთი წევრი, პერსონალური კითხვარის გამოყენებით. ანგარიში შემუშავდა ველზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაყოფილია ხუთ არსებით თემატურ ნაწილად: ახალგაზრდების ჩართულობა; განათლება და დასაქმება; ჯანდაცვა; სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა; ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.

კვლევის ერთ-ერთი თემატური ნაწილი ახალგაზრდების განათლებას დაეთმო, რაზეც ჩვენი გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს – რა ტენდენციები გამოიკვეთა ახალგაზრდების განათლების მხრივ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობას (41,5%), მათ შორის 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობას (40,0%), მიღებული აქვს მხოლოდ ზოგადი საშუალო განათლება. როგორც ჩანს, პროფესიული განათლება შედარებით არაპოპულარულია ახალგაზრდებში; უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ახალგაზრდების 1/5-ზე მეტს (21,6%), ხოლო პროფესიული განათლება – 1/10-ზე ოდნავ მეტს (11,0%). განათლების მიღწეული დონე შედარებით მაღალია ქალაქში და ქალთა სქესის წამომადგენლებში.

უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 29,7%-ს, რაც 2,4-ჯერ აღემატება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ანალოგიურ მაჩვენებელს (12,3%).

იგივე მაჩვენებელი, სქესის მიხედვით, ასე ნაწილდება – უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ახალგაზრდა ქალების 22,7% და კაცების 20,4%-ს. გამოკითხულთა 21,1% სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათი ასაკი 15-დან 19 წლამდე მერყეობს. ამ ასაკობრივ ჯგუფში კაცების რაოდენობა 2,4 პროცენტული პუნქტით მეტია ქალების რაოდენობაზე. ახალგაზრდების 52,3%, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები არიან. ახალგაზრდების 10,1% სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თუ გავითვალისწინებთ სქესს, ვნახავთ, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს ახალგაზრდა ქალების 11,5%, ახალგაზრდა მამაკაცების 8,7%. 15-29 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა – 66,9 % – არც ერთ საგანმანთლებლო დაწესებულებაში არ დადის.

კვლევის მიხედვით, პრობლემას წარმოადგენს სწავლის ნაადრევად შეწყვეტაც. 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში ახალგაზრდების თითქმის **10%-მა შეწყვიტა განათლების მიღება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.** მათი უმეტესობა (90,4%) 15-17 წლისაა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმ ახალგაზრდების, რომლებმაც ნაადრევად მიატოვეს საჯარო სკოლა, კახეთის რეგიონშია, შემდეგ მოსდევს აჭარა და სამეგრელო. 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივნისამდე 17089 ახალგაზრდამ ნაადრევად მიატოვა საშუალო სკოლა, მათი უმეტესობა (10153) კაცი იყო, ამ 17089 პირიდან 13899 – 15-17 წლის მოზარდი.

რაც შეეხება 15-29 წლის ახალგაზრდების ინფორმირებულობას, კვლევიდან ირკვევა, რომ 66.9% ფლობს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის მექანიზმისა და სერვისების შესახებ, ხოლო 56.8% – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მექანიზმისა და სერვისების შესახებ. 17.7% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას არც ერთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

ახალგაზრდების ინფორმირებულობა მობილობის შესახებ ასე გამოიყურება: საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციას ფლობს 15-29 წლის ახალგაზრდების მხოლოდ 33,8%. სქესის მიხედვით, ამ ინფორმაციას ახალგაზრდა ქალების მეტი წილი (39,1%) ფლობს, ვიდრე ახალგაზრდა კაცების (28,4%). რეგიონების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 16,6%-დან 44,0%-მდე მერყეობს. უფრო მეტად ინფორმირებული არიან აჭარისა და თბილისის ახალგაზრდები, შესაბამისად 44,0% და 43,7%, ხოლო ყველაზე ნაკლებად – სამეგრელოს რეგიონის ახალგაზრდები, მათი მხოლოდ 16,6% ფლობს ამ ინფორმაციას.

საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება სცადა 15-29 წლის ახალგაზრდების 25,8%-მა. მათგან პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ინტერნეტის საშუალებით 57,7% შეეცადა, ნაცნობ-მეგობრებში – 21,7%, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან – 12,7%, ხოლო პრესის საშუალებით – 7,3%. პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში შედარებით აქტიური იყვნენ ქალები.

კვლევა გვიჩვენებს, რომ მიღებული განათლების დონე შედარებით მაღალია ქალაქებში, სქესის მიხედვით კი – ქალებში. ახალგაზრდების უმეტესობას, 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, მიღებული აქვს მხოლოდ საშუალო ზოგადი განათლება. რაც შეეხება დაწყებით პროფესიულ, საშუალო უმაღლეს პროფესიულ და უმაღლეს განათლებას, მიღწეული განათლების დონე შედარებით უფრო მაღალია ახალგაზრდა ქალებში, ვიდრე ვაჟებში.

შეუსაბამობაა განათლების დონესა და დასაქმების შესაძლებლობას შორის. შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივ კატეგორიაში უმუშევრობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ახალგაზრდებს შორის, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქალაქში მცხოვრები ქალების შემთხვევაში. ახალგაზრდა მუშახელის 30,7% დაუსაქმებელია, მათ უმეტესობას (33,2%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ქალაქებში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 2,5-ჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად, რაც განპირობებულია სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებით. კაცების დასაქმების მაჩვენებელი 53,3%-ს შეადგენს, ქალების შემთხვევაში – 30,4%-ს. დასაქმებული ახალგაზრდების დაახლოებით ერთი მესამედი, ჩვეულებრივ, კვირაში 40 ან მეტი საათის განმავლობაში მუშაობს. შემდგომი 17%-ის სამუშაო დრო 30-დან 39 საათამდე მერყეობს.

ახალგაზრდები გარემოს გაუმჯობესების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად სამუშაო ადგილების ზრდას ასახელებენ, მომდევნო ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორია: ჯანდაცვის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომი და ადეკვატური საკვები, ხარისხიანი განათლება და კეთილსინდისიერი, ანგარიშვალდებული მთავრობა.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს სმენია აივ/შიდსის შესახებ, მაგრამ მასზე შეზღუდული ან არასწორი ინფორმაცია აქვს. გამოკითხულთა 89,9%-ს გაუგია აივ/შიდსის შესახებ, მაგრამ მხოლოდ 17.4%-ს აქვს სწორი ცოდნა ამ დაავადების გადაცემის გზებზე. 17,2%-ს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ აივ ვირუსი შეიძლება კოლოს ნაკბენით გადავიდეს.

ახალგაზრდებს სმენიათ ან იციან, როგორ უნდა გამოიყენონ, მაგრამ უმეტესობას არ გამოუყენებია კონტრაცეპციის საშუალებები და რეგისტრირებული აბორტების, დაახლოებით, ნახევარი 15-29 წლის ქალებზე მოდის. ახალგაზრდების ნახევარზე მეტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხოლოდ ქალები არიან პასუხისმგებელნი დაიცვან საკუთარი თავი არასასურველი ორსულობისგან. აბორტის სიხშირე 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს თბილისში, ქვემო ქართლსა და იმერეთის რეგიონში.

მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობაა ალკოჰოლის, ნარკოტიკისა და სხვა ნივთიერებების ბოროტად გამოყენებაში. ახალგაზრდა კაცების დაახლოებით 40% აცხადებს, რომ რეგულარულად ეწევა, მაშინ როდესაც ქალებში ეს მაჩვენებელი 4,1%-ია. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი სხვაობა ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის არ იკვეთება. ბოლო 12 თვის განმავლობაში, ალკოჰოლური სასმელი ერთხელ მაინც მიუღია ვაჟების 81,3%-ს, იგივე მაჩვენებელი ქალებში თითქმის ნახევარია (45,9%). მიუხედავად ამისა, წილი იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ალკოჰოლს კვირაში 1-2 დღე მოიხმარენ, მხოლოდ 11%-ს შეადგენს, ხოლო მათი, ვინც ალკოჰოლს კვირაში 3-დან 7 დღის განმავლობაში იღებს მხოლოდ 2,8%-ს. ახალგაზრდა ქალები უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს, ვიდრე კაცები. მსგავსი გენდერული მოდელი შენარჩუნებულია ყველა რეგიონში. ამასთანავე, ახალგაზრდების მიმართვიანობის მაჩვენებელი, ორივე სქესის შემთხვევაში, უფრო მაღალია თბილისში, ვიდრე რეგიონებში. 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტმა მიმართა სამედიცინო მომსახურების მომწოდებელ დაწესებულებას უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ყველაზე მაღალი მიმართვიანობა დაფიქსირდა თბილისში (62,9%), ყველაზე დაბალი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (24,2%).

ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი (82,9%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალებმა უნდა აიტანონ ფიზიკური ძალადობა ოჯახის შენარჩუნების მიზნით. თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნება ორ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ 54,4% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ქვემო ქართლში კი – მხოლოდ 57,3%.

ნახევარზე ოდნავ მეტი ფიქრობს, რომ ძალადობის და იძულების ფაქტები, ჩადენილი მათი თანატოლების მიერ და/ან მათ მიმართ, ბოლო 10 წლის განმავლობაში შემცირდა. იმ ახალგაზრდების, რომლებმაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს დახმარებისთვის მიმართეს, 2/3 ქალია, ხოლო პოლიციის მიერ რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლთა 2/3 – კაცი. ახალგაზრდების 57,9% არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ფიზიკური დასჯა აღზრდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ახალგაზრდა მოსახლეობის ნაწილი საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების მხოლოდ 17,5%-ია რეგულარულად (მინიმუმ 2 საათი კვირაში) ჩართული ფიზიკურ აქტივობაში და მხოლოდ 10,9% მონაწილეობს იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ ეხება.

არასახარბიელოდ გამოიყურება ახალგაზრდების ცნობადობა ბავშვის უფლებების მიმართულებითაც – უმეტესობა (69,2%) არ იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას. ისინი, ვისთვისაც ცნობილია კონვენციის შესახებ, ძირითადად, ინფორმირებული არიან სიცოცხლის უფლების კატეგორიაზე, მაგრამ ნაკლებად იცნობენ განვითარების, დაცულობისა და მონაწილეობის უფლებათა კატეგორიებს. არც სამოქალაქო უფლებებზე ინფორმირებულობას აქვს დიდი პროცენტული მაჩვენებელი – ახალგაზრდების 11,6%-ია ინფორმირებული სამოქალაქო უფლებებზე, კონკრეტულად, კანონმორჩილებაზე, გადასახადების გადახდასა და არჩევნებში მონაწილეობაზე.

თვალშისაცემია გამოკითხული ახალგაზრდების ის 43,3%, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სტიგმას სოციალურ ნორმად აღიქვამს. შეზღუდული შესაძლებლობის სტიგმატიზება დამახასიათებელია ქალაქის ახალგაზრდების 45,9%-ისთვის და სოფლის ახალგაზრდების 40,3%-ისთვის. კვლევის ფარგლებში, საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმის დასადგენად, 15-29 წლის ახალგაზრდებმა, შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხუთ შეკითხვას უპასუხეს. სტიგმის გამოთვლა შშმ პირებთან მიმართებაში სტიგმა პროქსი ინდიკატორის მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდა. ახალგაზრდების 47,7% მიიჩნევს, რომ ოჯახისათვის არ არის პრობლემა იმ ფაქტის გამჟღავნება, რომ ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების 25,7% ფიქრობს, რომ ადამიანებს, რომელთა ოჯახის წევრიც შეზღუდული შესაძლებლობისაა, პრობლემა შეექმნებათ დაოჯახებისას, სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 30,3%-ია, ხოლო სოფლად – 19,5%.

მთლიანობაში, კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული საზოგადოებისათვის შეზღუდული შესაძლებლობა სტიგმაა. სტიგმის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დედაქალაქს აქვს – 47,8%, სოფლებში სტიგმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია – 40,3%. სქესობრივ ჭრილში, შეზღუდული შესაძლებლობის სტიგმის მაჩვენებელი უფრო მეტია ქალებში – 45,5%, ვიდრე მამაკაცებში – 41%.

დაფიქსირდა ქართველი ახალგაზრდების ფიზიკური და სპორტული აქტივობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი, თუმცა 40%-ს სურვილი აქვს, იყოს დაკავებული სპორტით.

ანგარიშის ბოლო ნაწილი მოიცავს შედეგებს კვლევიდან „ჩემი სამყარო“, რომელიც წარმოადგენს გაეროს გლობალურ კვლევას უკეთესი მსოფლიოსათვის და შემუშავებულია იმის დასადგენად, თუ როგორ მსოფლიოში სურთ ადამიანებს ცხოვრება და რა საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტმა, უკეთესი გარემოს შესაქმნელად, კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული მთავრობა მხოლოდ მეხუთე მნიშვნელოვან ფაქტორად დააასახელა. ამასთანავე, საზოგადოების ცხოვრებაში ახალგაზრდების დაბალი მონაწილეობის გათვალისწინებით, გარკვეული განსხვავება იკვეთება მათ ცოდნასა და შეხედულებებს შორის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობის საკითხებზე.

„იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კვლევა საინტერესო იქნება ბევრი ორგანიზაციისათვის, ასევე, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისათვის. გამოვლენილი მონაცემები საქართველოში მოზარდების და ახალგაზრდების უფლებებისა და პოტენციალის სრულად რეალიზების საფუძველი გახდება სამომავლო ცვლილებების ინიცირებისას“ – აღნიშნულია კვლევის წინასიტყვაობაში. კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემები მართლაც ინფორმატიულია და სრულად ასახავს საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობას, მათთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და კომპლექსურ მიდგომას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოამზადა ლალი ჯელაძემ

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ჩვენ ვართ ერი, რომელსაც განათლების დიდი კულტურა და ისტორია აქვს

რუბრიკის სტუმარია გიორგი ლომიძე
ექსეტერის უნივერსიტეტის სტუდენტი,
საქართველოს ახალგაზრდა ელჩი დიდ ბრიტანეთში

– გიორგი, როგორც ვიცი, თბილისის კერძო სკოლა – „შპს სინათლე“ – წარჩინებით დაამთავრე, წარდგენილი იყავი ოქროს მედალზე. როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– კარგი სკოლის არჩევა ყველა ბავშვისათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ სკოლაში იწყება იმ ფუნდამენტის ჩასხმა, რაზეც შემდეგ მთელი კარიერა და ცხოვრება უნდა დადგეს. ამ მხრივ ნამდვილად გამიმართლა. კერძო სკოლა „შპს სინათლეში“ დაიწყო ჩემი დიდი ინტერესი სწავლის მიმართ. ჩემი მასწავლებლები ძალასა და შესაძლებლობას არ იშურებდნენ საუკეთესო შვილობილის აღზრდისათვის. ვფიქრობ, სწორედ მათმა ძალისხმევამ გამხადა ისეთი, როგორიც დღეს ვარ, რისთვისაც დიდი მადლობა თითოეულ მათგანს და ჩემს დამრიგებელს **ხვიჩა ჩალაბაშვილს**. პროფესიულ მომავალზე ფიქრი, ადრიდანვე დავიწყე. მახსოვს, უკვე მეოთხე კლასიდან მინდოდა ის პროფესია, რომელსაც ახლა ვეუფლები.

– რა გზა გაიარე საქართველოდან დიდ ბრიტანეთამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი ექსეტერი?

– ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რაიმე მნიშვნელოვნისთვის მიმეღწია და ჩემს სამშობლოს გამოვდგომოდი. რადგან ცხოვრების ადრეულ პერიოდში შევარჩიე პროფესია, საკმაო დრო მქონდა, საფუძვლიანი ცოდნით შევხვედროდი სასწავლო საგნებს უნივერსიტეტში. პირველ რიგში, გამორჩეული მნიშვნელობა მივანიჭე მათემატიკას და ეს საგანი სიღრმისეულად შევისწავლე, რისთვისაც მადლობას ვუხდი ჩემს მათემატიკის პედაგოგებს – **ზურა ნაცვლიშვილს** და **გელა ბიწაძეს**. გარდა ამისა, დიდ დროს ვუთმობდი ინგლისური ენის შესწავლას, რომ საზღვარგარეთ გამეგრძელებინა სწავლა. 2010 წლის ზაფხულში, სკოლისა და ოჯახის დახმარებით, სასწავლებლად წამოვედი ქალაქ ოქსფორდში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. სწორედ მაშინ დამებადა სურვილი, სწავლა დიდ ბრიტანეთში გამეგრძელებინა. შემდეგ ერთწლიან წინასაუნივერსიტეტო პროგრამაზე სწავლებისათვის ავირჩიე ექსეტერის უნივერსიტეტი, რეიტინგულობისა და სწავლის მაღალი ხარისხის გამო. ექსეტერის უნივერსიტეტი რეიტინგით მერვე ადგილზეა, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის, დაახლოებით, 200 უნივერსიტეტს შორის.

– რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– ამჟამად ვსწავლობ ეკონომიკის და ფინანსების ბაკალავრიატის ბოლო კურსზე. პირველ რიგში, პროფესიის არჩევანი უკავშირდება დიდ ინტერესს საბანკო საფინანსო სფეროს მიმართ. როდესაც პატარა ვიყავი, ხშირად ვიდექი ხოლმე ბანკომატთან. ჩემში აღტაცებას იწვევდა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა და ბანკომატიდან მისი გამოტანის ძალიან მარტივი პროცესი. 11 წლის ასაკში უკვე ჩემი სრულწლოვანი დეიდაშვილის საბანკო ბარათით ვსარგებლობდი. 15 წლისამ ჩემი დის სახელზე ანაბარი გავხსენი და როდესაც 16 წლის ასაკში ერთ-ერთმა ბანკმა საშუალება მომცა ჩემი საკუთარი ანგარიში მქონოდა, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო. სწორედ ამ პერიოდში, ბანკის საშუალებით, შევაგროვე ნაწილი იმ თანხისა, რითაც შემდეგში ქალაქ ოქსფორდში გავემგზავრე სასწავლებლად. პროფესიის არჩევანი, უმეტესწილად, განაპირობა ბავშვობიდან ძალიან დიდმა ინტერესმა საბანკო საფინანსო სფეროსა და ეკონომიკის მიმართ.

– მიამბე ექსეტერის უნივერსიტეტის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა?

– ექსეტერის უნივერსიტეტი 1855 წელს დაარსდა. ეს არის სამხრეთ დასავლეთ ინგლისის პატარა სტუდენტური ქალაქის უნივერსიტეტი. იგი 200 წამყვან უნივერსიტეტს შორისაა. სწავლა ერთი წლის განმავლობაში, საშუალოდ, 12 ათასი ფუნტი, ანუ, დაახლოებით, 19 ათასი ამერიკული დოლარია.

– რა სახით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– დიდ ბრიტანეთში, ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, სტიპენდიებისა და გრანტების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. თუმცა, რა თქმა უნდა, არის საშუალება, მოიპოვო სტიპენდია და სასწავლო გრანტი. ძირითადად, ასეთი გრანტების მოპოვება ბაკალავრიატზეა შესაძლებელი, განსაკუთრებული სპორტული და ხელოვნების უნარ-ჩვევების სტუდენტებისათვის. ბაკალავრიატზე ადგილობრივი დაფინანსება მცირეა, თუმცა განსაკუთრებული უნარ-ჩვევების ადამიანს შესაძლებლობა აქვს, შეღავათიან ფასებში ისწავლოს.

– ექსეტერის უნივერსიტეტში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.

– ექსეტერის უნივერსიტეტი დაამთავრა თურქეთის მე-11 პრეზიდენტმა – აბდულა გიულიმ, ასევე ჰარი პოტერის წიგნის ავტორმა ჯ. ქ. როულინგმა, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის ქალიშვილმა და სხვა მრავალმა გამოჩენილმა ლიდერმა თუ საზოგადო მოღვაწემ.

– ექსეტერი ცნობილია თავისი უძველესი ბიბლიოთეკით. რა როლი აქვს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ჩემი აზრით, ბიბლიოთეკა ყველა სასწავლო დაწესებულების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ექსეტერის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მილიონობით წიგნია დაცული. პირველ ხანებში, ძირითადად, ჩემს სტუდენტურ საცხოვრებელში ვმეცადინეობდი. რამდენჯერმე ბიბლიოთეკაში სწავლის შემდეგ მივხვდი, რომ აქ გატარებული ერთი საათი სახლში სწავლაში გატარებულ ორ საათს უდრის. ამიტომ ვურჩევ ყველა სტუდენტს, უპირატესობა წიგნების გარემოცვაში მეცადინეობას მიანიჭოს.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ კარგი განათლების მიღება საქართველოშიც შეიძლება. თუმცა ისეთ დარგებში, როგორიცაა ეკონომიკა და ფინანსები, კარგია თუ ძლიერი და დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოახერხებ განათლების მიღებას. დიდი ბრიტანეთი და ლონდონის საფონდო ბირჟა სიდიდით ერთ-ერთია მსოფლიოში, ეს არის ადამ სმიტის, ჯონ მეინარდ კეინსის და სხვა გამოჩენილი ეკონომისტების ქვეყანა. ხშირად ლონდონიდან ერთი ან ორი ლექციის წასაკითხად ჩამოდიან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები და სხვა წამყვანი თანამდებობის პირები.

ევროპის მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების მთავარი უპირატესობა, ქართულთან შედარებით, ისიცაა, რომ აქ უნივერსიტეტებს შორის ძალიან დიდი კონკურენციაა. დიდ ბრიტანეთში ასეულობით უნივერსიტეტია, ყველა ქალაქს, თუნდაც პატარას, საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი აქვს. რაც, საბოლოო ჯამში, მრავალი აღმოჩენისა და მიღწევის მთავარი მიზეზია, საქართველოსაც აქვს პოტენციალი, გახდეს საუკეთესო სასწავლო ცენტრი არა მარტო რეგიონში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. მართალია, საქართველოში უნივერსიტეტი მეოცე საუკუნეში დაარსდა, მაგრამ საგანმანათლებლო ცენტრები ხომ გაცილებით ადრე, დავით აღმაშენებლის ეპოქაში ფუნქციონირებდა. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ ავაშენებთ იყალთოსა და გელათის აკადემიების საუნივერსიტეტო კამპუსებს, სადაც სტუდენტები სხვადასხვა პროფესიას დაეუფლებიან. აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ ჩვენ ვართ ის ერი, რომელსაც განათლების დიდი კულტურა და ისტორია აქვს. ამიტომაც შეგვიძლია გავხდეთ წარმატებული ქვეყანა, სადაც განათლების მისაღებად მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოვლენ ახალგაზრდები.

– გიორგი, როგორც ვიცი, შენ ექსეტერის უნივერსიტეტის ქართული საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი ხარ, ასევე, ექსეტერის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ზედამხედველი. მიამბე, ამ საზოგადოების მიზნების, ამოცანების, შენი მოვალეობების შესახებ

– ჩემი აზრით, აუცილებელია, სტუდენტი, სწავლის პარალელურად, რაიმე სოციალური აქტივობით დაკავდეს, რათა თეორიული გამოცდილების გარდა, მიიღოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც შემდეგ ცხოვრებაში გამოადგება. ექსეტერის უნივერსიტეტი ამაში ხელს გიწყობს – იქნება ეს სტუდენტურ საზოგადოებებში თუ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა. 2011 წელს, როცა სკოლის დამთავრების შემდეგ წინასაუნივერსიტეტო მოსამზადებელ პროგრამაზე სასწავლებლად ჩამოვედი, ვნახე, რომ უნივერსიტეტში სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტური საზოგადოებები ფუნქციონირებდა, თუმცა არა ქართველი სტუდენტების. სწავლის დაწყებიდან მალევე, სტუდენტური საზოგადოების დამტკიცების კომიტეტზე წარმატებული პრეზენტაციის შემდეგ, სამ ქართველ სტუდენტთან ერთად, ჩამოვაყალიბე ექსეტერის ქართული საზოგადოება, რადგან მხოლოდ სამნი ვიყავით, ყველა არასერიოზულად უყურებდა ჩემს წამოწყებას, იყო დაბრკოლებებიც, თუმცა ყველაფერი გადავლახე და ოფიციალურად დავაფუძნე სტუდენტური საზოგადოება, რომლის მთავარი მიზანია დიდ ბრიტანეთში ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაცია. დაფუძნებიდან დღემდე, განვახორციელეთ ათეულობით ღონისძიება – გასართობი საღამო, ლექცია, სემინარი, ფილმის ჩვენება თუ სხვ. შედეგად, ქალაქ ექსეტერში, ახლა უკვე ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის შესახებ არ იცის. დღესდღეობით ექსეტერის უნივერსიტეტში 20 ქართველი სტუდენტი სწავლობს და დღეს ჩვენ უფრი ფართომასშტაბიან ღონისძიებებს ვახორციელებთ.

– პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ თანახმად, აგირჩიეს დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა ელჩად. რა აქტივობებს გეგმავ პროექტის ფარგლებში?

– როგორც იცით, ეს არის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიასპორის სამინისტროს ერთობლივი პროექტი. მისი მთავარი მიზანია, საქართველოს პოპულარიზაცია და მეგობართა ქსელის შექმნა, რომელიც სამომავლოდ საქართველოს გამოადგება. მიხარია, რომ ამ მხრივ, საქართველოს მთავრობის მხრიდან დაინტერესებაა, რადგანაც საზღვარგარეთ მრავალი გულანთებული ქართველი ახალგაზრდაა, რომელსაც სურს, წვლილი შეიტანოს სამშობლოს წარმატებაში. საქართველოს ახალგაზრდა ელჩების კონკურსში გამარჯვება ნიშნავს იმ მნიშვნელოვანი საქმის გაგრძელებას და არეალის გაფართოებას, რასაც უკვე 4 წელია ვახორციელებ ექსეტერის უნივერსიტეტის ქართული საზოგადოების სახელით. ღონისძიებები დაგეგმილი მაქვს დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში, მინდა ყველა ქართველი სტუდენტი ჩაერთოს საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში. ჩემ მიერ განხორციელებული ღონისძიებები იქნება აკადემიური – საქართველოსადმი მიძღვნილი საინტერესო ლექციები; აგრეთვე გასართობი ღონისძიებები, რომელშიც ჩაერთვებიან დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ქართველი და უცხოელი ახალგაზრდები. დაგეგმილი გვაქვს ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება, ფილმების ჩვენება, კონფერენციები და მრავალი სხვ.

– გარდა ამისა, ხარ ექსეტერის უნივერსიტეტის ფინანსებისა და ინვესტიციების, ბიზნესისა და ეკონომიკის საზოგადოების წევრი. უნივერსიტეტის მხრიდან საკმაოდ დიდი ნდობაა, უფრო კონკრეტულად მიამბე შენი მოვალეობების შესახებ

– ამ საზოგადოებების მთავარი მიზანია, ღონისძიებების ორგანიზება, მაგალითად, ფინანსური კონფერენციის ან სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობების. პირადად მე, ასეთი ტიპის საზოგადოებებში ჩართულობის გამო, უკვე დავესწარი სამ ფინანსურ კონფერენციას, რომელმაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა მსოფლიო ფინანსების, საფონდო ბირჟის და ეკონომიკური კრიზისის მიზეზების მიმართულებით.

– როგორც ვიცი, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების გამო, ჟენევის უინივერსიტეტმა დაგაფინანსა საზაფხულო პროგრამაზე სწავლისთვის. რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს პროგრამებში სტუდენტების ჩართვა?

– მიმაჩნია, რომ სტუდენტმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული დრო და შესაძლებლობა, რათა აიმაღლოს ცოდნის დონე. არც ერთი ზაფხული არ გამიცდე-

ნია უქმად, მხოლოდ დასვენებისათვის. 2012 წლის ზაფხულის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ჰარვარდის უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართულ ლიდერობის სკოლაში, სადაც დაფინანსებაც მოვიპოვე; 2013 წლის ზაფხულში, კომერციული ბანკების განხრით, სტაჟირება და ტრენინგი გავიარე საქართველოს ბანკთა ასოციაციაში, პარალელურად ვმუშაობდი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკური ანალიტიკის დეპარტამენტში, სადაც 3 საინვესტიციო კანონზე ვიმუშავე; 2014 წლის ზაფხულის განმავლობაში კი, როგორც თქვენც აღნიშნეთ, დაახლოებით, 1 თვის განმავლობაში ვისწავლე შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ინვესტიციების კუთხით. ეს სფერო საქართველოში საკმაოდ განვითარებულია და სურვილი მქონდა, მიკროსაფინანსო ბაზარი შემესწავლა მსოფლიო ფინანსების ცენტრიდან. იმავე ზაფხულს სტაჟირება გავიარე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, სადაც ძალიან კარგი გამოცდილება მივიღე. ამჟამად კი, ახალაზრდა ელჩობის და ქართული საზოგადოების ხელმძღვანელობის გარდა, უკვე 2 წელია, ვმუშაობ ექსეტერის უნივერსიტეტში სტუდენტური საცხოვრებლის ზედამხედველად, რაც გამოცდილებასთან ერთად მცირეოდენ ფინანსურ სარგებელსაც მაძლევს. ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რასაც ვაკეთებ სტუდენტობის პერიოდში.

– როგორც ვიცი, ექსეტერი საუნივერსიტეტო ქალაქია და შესაბამისად, მოსახლეობის ძირითად ნაწილს სტუდენტობა შეადგენს. სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს, გვიამბე, როგორ ცხოვრობენ ინგლისელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია, სტუდენტი სწავლის გარდა ჩართული იყოს სოციალურ აქტივობებში. სტუდენტობის პერიოდი ის დროა, როცა იძენ მეგობრებს, იცნობ ადამიანებს, რომლებიც მთელი ცხოვრება შენ გვერდით იქნებიან. ამჟამად ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ვარ. საკმაოდ რთული სწავლისა და სამი სამსახურის პირობებში, ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს, თუმცა, რაც მაქვს, მაქსიმალურად ვცდილობ გავატარო მეგობრებთან ერთად; ვკითხულობ საინტერესო ლიტერატურას და ა.შ. ყველაზე მეტად აქ განვითარებულია ფინანსური და ეკონომიკური სფერო და სტუდენტების უმეტესობა, სწავლის დასრულების შემდეგ, სწორედ ლონდონის საფონდო ბირჟაზე, საინვესტიციო ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში იწყებს მუშაობას.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– არ ვფიქრობ, რომ საზღვარგარეთის დიპლომის გამო, საქართველოში პრივილეგირებული ვიქნები. მიმაჩნია, რომ ჩემი პრივილეგია, ცოდნასთან ერთად, ის გამოცდილება იქნება, რაც უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მაქვს მიღებული. ჩემს მომავალს, რა თქმა უნდა, საქართველოს ვუკავშირებ. მინდა, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ საქართველოში დავბრუნდე. ყველაფერი, რასაც აქამდე ვაკეთებდი, ვაკეთებ და გავაკეთებ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – სამშობლოს გამოადგეს ჩემი ცოდნა და გამოცდილება.

– რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესია, ყველა ახალგაზრდა დაფიქრდეს, თუ რისი გაკეთება სურს მომავალში, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. თუ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება სურს, ვურჩევ იყოს მიზანდასახული. ამოირჩიოს ერთი კონკრეტული სფერო, რაც აინტერესებს და შეეცადოს მაქსიმალურად შეისწავლოს ის საგნები, რომლებიც გამოადგება. როგორც უკვე გითხარით, ეს ყველაფერი სკოლიდან იწყება. სკოლა ფუნდამენტია, რაზეც ამაყად და ძლიერად დგას ჩვენი ცხოვრების სახლი.

– როცა საქართველოდან შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– ყველაზე მეტად მენატრება ჩემი სამშობლო და ჩემი ახლობლები, მეგობრები... უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ადამიანურ ურთიერთობებს, ამიტომ ყველაზე მეტად სწორედ ჩემი საყვარელი ადამიანები მენატრებიან.

– საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? შენი აზრით, რა მოგცა დიდ ბრიტანეთში გატარებულმა პერიოდმა ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– ხშირად ვფიქრობ საქართველოს მომავალზე და მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იქნება. მერწმუნეთ, ბევრი არ არის მსოფლიოში საქართველოზე მეტი რესურსის მქონე ქვეყანა. სწორედ ამ რესურსების სწორად გამოყენებას შეუწყობს ხელს ჩვენი ევროპასთან ინტეგრაცია. ქართული კულტურა საუკუნეების განმავლობაში ითვისებდა ევროპულ ფასეულობებს. ამიტომაც მჯერა, რომ საქართველო მალე გახდება ევროპის წევრი ქვეყანა და დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც ყოველთვის გვეკუთნოდა. ბრიტანეთში გატარებულმა წლებმა მასწავლა, თუ ადამიანს რამის მიღწევა სურს და ამისთვის ბევრს შრომობს, აუცილებლად მიაღწევს – „ეძიებდე და ჰპოვებდე“.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

გამოცდილების გაზიარება

ინტეგრირებული გაკვეთილი

დღეს ძალიან აქტუალურია ინტეგრირებული გაკვეთილების თემა. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამები, საგნობრივ პროგრამებს შორის არსებული თემატური კავშირები და ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი კომპეტენციები საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაგეგმოს და ჩაატაროს საინტერესო ინტეგრირებული გაკვეთილი. გამოცდილების გაზიარების მიზნით, გთავაზობთ ჩემ მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას.

გაკვეთილის თემა	მზის სისტემა	
სწავლების საფეხური	დაწყებითი, მე-6 კლასი	
გაკვეთილის ხანგრძლივობა	45 წთ.	
ინტეგრირებული საგნები	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ბუნებისმეტყველება
მასწავლებლის სახელი და გვარი	თეა ფირცხალავა	ირმა ჭანტურია
მოსწავლეთა რაოდენობა	5 მოსწავლე	
განსაკუთრებული მიდგომების საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა და პროფილი	ასეთი მოსწავლე არ არის	
გაკვეთილის მიზანი	**ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** • მოსწავლე გაიაზრებს განსხვავებას პრეზენტაციასა და სხვა სახის ვიზუალურ და საკითხავ მასალას შორის; • ახდენს ტექსტური, გრაფიკული და აუდიომასალის ეფექტურად კომბინირებას მიზნის შესაფერისი ციფრული მასალის შექმნისას. **ბუნებისმეტყველება** • მოსწავლემ მოიძიოს ინფორმაცია პლანეტების შესახებ და წარმოადგინოს პრეზენტაციის სახით; • მოდელებზე დაკვირვების საფუძველზე, აღწეროს პლანეტების მოძრაობა მზის სისტემაში.	
ე.ს.გ. მისაღწევი შედეგები	**ისტ-ტექნ. VI.1** მოსწავლეს შეუძლია აუდიტორიის მოთხოვნებისა და საკუთარი (ან ჯგუფის) მიზნების გათვალისწინებით, მოამზადოს პრეზენტაცია/სლაიდები საკუთარი (ან ჯგუფის) მოსაზრებების წარმოსაჩენად ან მუშაობის შედეგის სადემონსტრაციოდ. **ბუნებისმეტყველება**. VI.6 მოსწავლეს შეუძლია კოსმოსური სხეულების მოძრაობისა და ზოგიერთი ასტრონომიული მოვლენის აღწერა მზის სისტემაში	
გაკვეთილის მსვლელობა:	**A ფაზა** **1. პროვოცირება – აქტივობა I** – ლექსით „მზე დედაა ჩემი“ *მზე დედაა ჩემი,* *მთვარე მამაჩემი,* *ეს წვრილწვრილი ვარსკვლავები* *და და ძმაა ჩემი.* ანუ მზის სისტემა წარმოგვიდგება, როგორც ოჯახი, რომელშიც შედის მზე, პლანეტები და სხვა ციური სხეულები. (3 წთ.) **B ფაზა** **2. აქტივობა II** – პრეზენტაცია. მთელი კლასი. (12წთ) ისტ-ის მასწავლებლის მითითებით, წინასწარ მომზადებული პრეზენტაციის (პოვერპოინტში) ჩვენება თემაზე: მზის სისტემა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს მოძიებული ინფორმაცია პლანეტებისა და მზის სისტემის შესახებ. **3. აქტივობა III** – თამაში „გამოიცანი რომელი პლანეტა ვარ?“ (5წთ.) მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა წინასწარ შედგენილი, თემის შესაბამისი გამოცანები. **4. აქტივობა IV** – მოდელის შექმნა: „პლანეტების მოძრაობა მზის სისტემაში“. ჯგუფური. (10წთ.) წინასწარ მომზადებული რესურსებით მოსწავლეები ადგენენ მზის სისტემის მოდელს (დიდი ზომის ფორმატზე მათ განალაგეს წინასწრ დამზადებული, ქაღალდისაგან გამოჭრილი პლანეტები და განსაზღვრეს მათი მდებარეობა). **C ფაზა** **5. აქტივობა V** – ვენის დიაგრამის შევსება. ინდივიდუალური. (5 წთ.) მოსწავლეები ავსებენ ვენის დიაგრამას თემის შესაბამისად. ადარებენ მათთვის სასურველ ორ პლანეტას და გამოყოფენ მსგავსებასა და განსხვავებას. **6. აქტივობა VI** – კროსვორდის შევსება: ინდივიდუალური. (5 წთ.) მოსწავლეები ავსებენ სახალისო კროსვორდს. **7. აქტივობა VII** – კითხვა-პასუხი. მთელი კლასი. (3წთ.) მასწავლებლები და მოსწავლეები კითხვა-პასუხით აჯამებენ და აფასებენ ჩატარებულ გაკვეთილს. **8. აქტივობა VIII** – საშინაო დავალების მიცემა. (2წთ.) მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს მოიძიონ ინფორმაცია მზის სისტემაში არსებული სხვა ციური სხეულების შესახებ და მოამზადონ პრეზენტაცია.	
შეფასება	განმსაზღვრელი, თვითშეფასება.	
რესურსები	პროექტორი, კომპიუტერი, თაბახის ფურცელი, მარკერი, სამუშაო რვეულები, სახელმძღვანელო, წებო, დიდი ფორმატის ფურცელი, მარკერები.	

ირმა ჭანტურია
სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათის საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის სერტიფიცირებული მასწავლებელი

მეგობრობა გზად და ხიდად

ამ სტატიის დაწერა ერთმა ძალიან მნიშვნელოვანმა ფაქტმა გადამაწყვეტინა – სსიპ თბილისის №203 საჯარო სკოლა (სმენადაქვეითებული და სმენის არმქონე მოსწავლეთა) სსიპ თბილისის №70 საჯარო სკოლას დაუმეგობრდა. პირველი შეხვედრა 30 აპრილს შედგა და სპორტული შეჯიბრებებით დაიწყო. ორივე სკოლის მოსწავლეები კალათბურთში, თავისუფალ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და მკლავჭიდში შეეჭიდნენ ერთმანეთს. შეჯიბრებებში 203-ე სკოლა-პანსიონის სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ნინო მეტრეველი** და №70 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან გიორგაძე**, აგრეთვე ორივე სკოლის დირექციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პროექტის ფარგლებში, ორ სკოლას შორის გამართული ეს ღონისძიება ის ენთუზიაზმია, რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და კულტურული საჭიროებები თანატოლებთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებს იძლევა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ასეთი პროექტები მოსწავლეებს საკომუნიკაციო და სოციალიზაციის უნარების განვითარებაში ეხმარება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვებს უვითარდებათ იდენტობის გრძნობა. ამ ორი სკოლის პრიორიტეტიც ხომ ესაა – ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრირებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ეს ღონისძიება მიმართული იყო საზოგადოების იმ ნაწილისაკენ, რომელმაც კიდევ ერთხელ უნდა მოახდინოს ფოკუსირება ტოლერანტობისა და ემპათიისაკენ და გადადგას მორიგი ნაბიჯი საზოგადოების შეხედულებების შესაცვლელად.

ჩვენ ტოლერანტულები ვართ!

მაკა მღებრიშვილი
სსიპ თბილისის №203
საჯარო სკოლის ფსიქოლოგი

პერსპექტიული ძალოსნის მორიგი გამარჯვება

ჩვენი სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მათ იციან „სპორტის ფასი და გემო“. სკოლაში გვყავს რაიონის, რეგიონის, საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები.

ამა წლის აპრილში ჩვენი სკოლა მოუთმენლად ელოდა ევროპის პირველობას ძალოსნობაში, სადაც XII კლასის მოსწავლე **მიშიკო ბერიაშვილი** მონაწილეობდა. იგი ევროპის ჩემპიონი გახდა წოლმჭიდში. მართალია, 68კგ-ს იწონიდა, მაგრამ 75კგ წონით კატეგორიაში გავიდა და საქართველოს ხუთგზის ჩემპიონობას ევროპის ჩემპიონობა დაუმატა, რითაც მთელმა სკოლამ გაიხარა. პირველ რიგში, დედამ, ქალბატონმა **სოფო დულარიძემ**, რომელიც საგანმანათლებლო სისტემაში მუშაობს. იგი ყურადღებას არ აკლებდა სასიქადულო შვილს, სჯეროდა, რომ დაუღალავი შრომა გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა – მიშაც წარმატებას წარმატებაზე იმკიდა, რაშიც ლომის წილი მის პირად მწვრთნელს **გიორგი ბეროშვილს** აქვს. რაც შეგვეხება სკოლის სპორტის პედაგოგებს – ვამაყობთ მისით, ხშირად ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს.

მიშიკოს სპორტისადმი ინტერესი მრავალმხრივია – საბრძოლო ხელოვნება, კიგბოქსინგი, ჭიდაობა – თითოეულ ამ სახეობაში არაერთხელ უასპარეზია წარმატებით.

მიშიკო ბეროშვილით უცხოელი სპეციალისტებიც დაინტერესდნენ, თუმცა იგი საქართველოს დატოვებას არ აპირებს და მომავალი სპორტული წარმატებების მიღწევას სამშობლოში გეგმავს.

ვანო ათაბეგაშვილი
გურჯაანის მუნიციპალიტეტის
სოფელ ახაშნის საჯარო სკოლის
სპორტის მასწავლებელი

ბოლქვაძის წარმატებული სტარტი

ქართველმა ჩოგბურთელმა **მარიამ ბოლქვაძემ** წარმატებული სტარტი აიღო 10-ათასიან ტურნირზე, რომელსაც ისრაელის ქალაქი აშქელონი მასპინძლობს.

მე-4 ნომრად განთესილმა ბოლქვაძემ ფრანგი **კლემენს ფაიოლი** 6:2, 7:6 (7:5) დაამარცხა და მერვედფინალში „უაილდ ქარდის“ მქონე ებრაელ **ვალერია პატიუკს** გაეჯიბრება.

წყვილთა ტურნირში ბოლქვაძეს და უნგრელ **ნაომი ტოტკას** პირველი განთესვა გააჩნიათ და ბრძოლაში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**

ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ გარითლეარაში

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებულია თითო ტომის ფასი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 *(42X59.4 სმ)*

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 *(59.4X84.1 სმ)*

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქტიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით აღმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბალი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

„ქოლგის“ ჯილდო მსოფლიო ბავშვებსა და ფოტოგრაფებს

ლალი ჯელაძე

ფოტოფესტივალმა „ქოლგამ“, თბილისში, უკვე მეთოთხმეტედ, ფოტოგრაფიის მოყვარულებისთვის საკონკურსო ფოტოები გამოფინა და ერთი კვირის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე დამთვალიერებელს უმასპინძლა. კონკურსის გარდა „ქოლგა“ კიდევ რამდენიმე აქტივობას აერთიანებს, რომელთა შორის ერთ-ერთია გამოფენა **„ბავშვები. მომავალი დღეს“** – საერთაშორისო კონკურსის „UNICEF-ის წლის ფოტო“ საუკეთესო ფოტოებისა და რეპორტაჟების ნაკრები, რომელმაც 2012-2013 წლების კონკურსის გამარჯვებულ და ჟიურის საპატიო პრემიების მფლობელ ნამუშევრებს მოუყარა თავი. გამოფენაზე 15 ქვეყნის 23 ფოტოგრაფის მიერ გადაღებული 93 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. როგორც ორგანიზატორები აღნიშნავენ: *„ჯილდო ეძღვნება როგორც მსოფლიო ბავშვებს, ისე რეპორტაჟულ ფოტოგრაფიას“.*

კონკურსს საფუძველი 2000 წელს UNICEF-ის გერმანიის ეროვნულმა კომიტეტმა ჩაუყარა, მისი მხარდამჭერია ჟურნალი GEO Magazine. მას შემდეგ საუკეთესო ფოტოგრაფებმა და ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან, 70-ზე მეტი ქვეყნიდან, მოიპოვეს „UNICEF-ის წლის ფოტოს“ პრესტიჟული ჯილდო. მათ ნამუშევრებში აისახა არა მხოლოდ მძიმე გარემო, ომის თუ ბუნებრივი კატასტროფების პირობებში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების რთული მდგომარეობა, არამედ მათი მხიარულების, ცხოვრებით ტკბობის წუთები და ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები.

აბჰიჯითი ნანდი (ინდოეთი)

სარა ნაომი ლერკოვიჩი (აშშ)

ნიკალას ჰამარსტრომი (შვედეთი)

„კარგი ფოტონამუშევრები, დღესდღეობით ფართოდ გავრცელებული შემთხვევითი ფოტოების მოძალების ფონზე, გამონათებასავითაა. ისინი წამით იპყრობენ ჩვენს მზერას და ყურადღებით დაკვირვებას გვაიძულებენ – ამბობს გერმანიაში UNICEF-ის ხელმძღვანელი **იურგენ ჰერაიუზი**, – *კონკურსზე წარმოდგენილი ფოტოები არა მარტო ასახავენ რეალურ ცხოვრებას, არამედ მოიხელთებენ სამყაროს ბავშვებისეულ ხედვასაც. ისინი შეგვახსენებენ ბავშვების უფლებების დაცვისა და მათ მომავალზე ზრუნვისთვის ჩვენს საერთო გლობალურ პასუხისმგებლობას იმის დაფიქსირებით, თუ რას ნიშნავს იყო ბავშვი“.*

გაეროს ბავშვთა ფონდი – UNICEF – 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განადგურებულ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვებისთვის აუცილებელი საკვებით მომარაგებისა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით დაარსდა. დღესდღეობით, ფონდი ეხმარება და მხარს უჭერს, დაახლოებით 150 ქვეყანაში მცხოვრებ ბავშვებს. პარტნიორებთან ერთად, UNICEF ყოველი სამი ბავშვიდან ერთს ვაქცინებით ამარაგებს, სათანადო აღჭურვილობით ამარაგებს სკოლებს და ბავშვების უფლებებისთვის იბრძვის პოლიტიკურ დონეზე. მსოფლიოში თანდათან აცნობიერებენ, რომ ბავშვები პიროვნებები არიან, რომლებსაც თავიანთი უფლებები აქვთ. UNICEF-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისულ რეგიონებში უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ და ხელმოკლე ბავშვებზე, შორეულ სოფლებში მცხოვრებ გოგონებსა და ბიჭებზე თუ გეტოებში გამომწყვდეულ პატარებზე ზრუნვა.

საერთაშორისო კონკურსი „UNICEF-ის წლის ფოტო“ ამ იდეას და UNICEF-ის მიზანს გამორჩეულად განამტკიცებს.

UNICEF-ის წლის საუკეთესო ფოტოებისა და რეპორტაჟების გამოფენას, რომლის კონცეფციისა და პროექტის მენეჯერია **ანგელა ბ. რუპრეჰტი** და კოორდინატორი – **თეონა გოგიჩაიშვილი**, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმმა უმასპინძლა და დამთვალიერებელს ფირზე აღბეჭდილი კადრებით კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მსოფლიო ბავშვებს თავიანთი უფლებებით აერთიანებს, ჩვენთვის კი მათი დაცვა უპირველესია. 2015 წლის ფოტოფესტივალი მონაწილე ქვეყნების რეკორდული მაჩვენებლით დაფიქსირდა – 40 ქვეყნის ფოტოპროექტი წლევანდელი ფოტომოყვარულებისთვის განსაკუთრებული და მრავალფეროვანი ფოტოისტორიებით გამოირჩეოდა.

ლერკე პოსელტი (დანია/სააგენტო)

ფოტოკონკურსის გამარჯვებულები ნელსაც საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა:

• *დოკუმენტური სერია* – **ნენსი ნიუბერი** (აშშ);

• *რეპორტაჟი* – **ვალერი მელნიკოვი** (რუსეთი);

• *კონცეპტუალური ფოტოპროექტი* – **ვავჟინეც კოლბუჟი** (პოლონეთი);

• *ერთი კადრი* – **ენსოფი კესტელეინი** (ბელგია);

• *„ჯეოსელის“ მობილური ფოტო:* ქვე-ნომინაცია: *მობილური ფოტოსერია* – **მატია ვაკა** (იტალია); ქვე-ნომინაცია: *მობილური ერთი კადრი* – **ანა სვანიძე** (საქართველო).

აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში, ფოტოკონკურსის ძირითად ნომინაციაში, მაღალი კონკურენციის პირობებში, წელს პირველად გაიმარჯვა ქართველმა მონაწილემ – **ანა სვანიძემ**.

„ქოლგას“ განათლების სექციამ საერთაშორისო ფოტოპროექტების 6 ვორქშოფსა და უცხოელი ფოტოგრაფების, კურატორების, არტკრიტიკოსების პორტფოლიოების განხილვას უმასპინძლა, რამაც საქართველოში მცხოვრებ ფოტომოყვარულებს და პროფესიონალ ფოტოგრაფებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და საუკეთესო გამოცდილების მიღების საშუალება მისცათ.

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >